

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი

24.01.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

**ქეთევან ქოქრაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

**გიორგი ამილახვარი** - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**ნინო ლიპარტია** - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

**ნატო გენგიური** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

**ლევან გორდუზიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

**სერგო ჭელიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

**ნიკოლოზ ჯავახიშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

**ანა ფირცხალაშვილი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

**მაკა ლაშხია** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

**გიორგი ქვარცხავა** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

**დენიტა ბიბილეიშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

**თეა მჭედლური** - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:  
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
სამმართველოს უფროსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:  
მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი;  
ზაირა ტყეშუჩავა - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ნანა ზუბაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელი:

თამარ გარდაფხაძე - დაწესებულების რექტორი;  
მანანა ალადაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ნათია გოგოლაური - ხარისხის სამსახურის წარმომადგებელი;  
თინათინ გაბრიჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგებელი;

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

ვახტანგ ლეჟავა - დაწესებულების რექტორი;  
მარინა ქარჩავა - პრორექტორი;  
ნათია სამუშია - პრორექტორი;  
თეო ურუშაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ლევან გულუა - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ნატო კობახიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;  
ანა გოდაბრელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

ნინო პოპიაშვილი;  
გოჩა თუთბერიძე;  
ეკა დევიძე;  
დავით ბურჯანაძე;  
გიორგი ჯაფოშვილი;  
მანანა კველიშვილი;  
ნატალია ცქიტიშვილი;  
ნინო ლომიძე;  
გიორგი ვარდიაშვილი;  
მერაბ მაჭავარიანი;  
ნინო ჩხარტიშვილი;  
ნინო დიაკონიძე.

**მოწვეული საბჭოს წევრი:**

გიორგი თურქია.

საბჭოს სხდომა 16:00 საათზე დაიწყო. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე. თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>2</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ საბჭოს სხდომას აკრედიტაციის დებულების 27<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა გიორგი თურქია.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ არსებობდა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა დაფიქსირდა შუამდგომლობა, რომ ბოლო საკითხი გადმოტანილიყო მეორე საკითხად, რადგან მოწვეული საბჭოს წევრი, გიორგი თურქია, რომელიც მოწვეული იყო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის შესახებ საკუთარი აზრის გამოსათქმელად, ვერ მოახერხებდა სხდომის ბოლომდე დარჩენას. შესაბამისად, სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;



1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ქართულ ენაში მომზადება
განათლების საფეხური		-
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	-
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		60

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ ხუთივე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი აკრედიტაციის სტანდარტებთან, რადგან თითოეული კომპონენტი ექსპერტებმა შეაფასეს, როგორც სტანდარტებთან შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო პოპიაშვილმა წარადგინა. მან აღნიშნა, რომ პროგრამას დიდი ხნის ისტორია და ტრადიცია ჰქონდა აღნიშნულ უნივერსიტეტში. ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ ჰქონდა, მხოლოდ რამდენიმე რჩევა მისცეს უნივერსიტეტს:

➤ კარგი იქნებოდა, არჩევითი დარგობრივი კურსების პარალელური სწავლება. რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის კურსდამთავრებულებს რამდენიმე საგანსა და მიმართულებაში ენობრივი კომპეტენციების გაღრმავებასა და სწავლების შემდეგ საფეხურზე ენობრივი სირთულეებისა და ბარიერების დაძლევას.

➤ სასურველი იყო, სტუდენტთა რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი საუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად, წინასწარ განსაზღვრულიყო სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციები.

➤ სტუდენტთა უკეთესი ინტეგრაციის მიზნით, ახალქალაქის კორპუსში შექმნილიყო სტუდენტური კლუბი ან საბჭო სტუდენტური აქტივობების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

➤

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის. მან აღნიშნა, რომ ყველა რჩევას იზიარებდნენ და გაითვალისწინებდნენ.

საბჭოს წევრმა, ნიკო ჯავახიშვილმა დაადასტურა უნივერსიტეტის გამოცდილება ამ მიმართულებით და აღნიშნა, რომ ამ პროგრამის არსებობა უნივერსიტეტისთვის, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ ეთნიკური უმცირესობები (სომხურენოვანი და სხვა) ძალიან მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ტურიზმი
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1120
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან, მიუხედავად იმისა, რომ 1.1 კომპონენტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი; მეორე და მესამე სტანდარტები კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან 2.1 და 3.1 პუნქტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო 2.2 როგორც ნაწილობრივ შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარადგინა. მან საბჭოს წევრებს გააცნო რეკომენდაციები:

➤ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს სრულფასოვნად უნდა ეოპასუხა მისანიჭებელ კვალიფიკაციას და მასში ასახული უნდა ყოფილიყო კონკრეტულად, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ იყო მიმართული პროგრამა; პროგრამის მიზნები ლოგიკურად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან;

- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისას, საჭირო იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტად შეთავაზებული ალტერნატიული საგნების დასახელება;
- მიზანშეწონილი იყო ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები, როგორცაა: ბიზნეს ეთიკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა განხილულიყო, როგორც სპეციალობის სავალდებულო კურსები;
- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებში დამატებოდა საქართველოს გეოგრაფია (ტურიზმის გეოგრაფია), საქართველოს ისტორია, პროექტების მენეჯმენტი;
- სასწავლო კურსებს, როგორცაა: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, საქართველოს ტურისტული მარშრუტების პროექტირება, სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, ღონისძიებების ადმინისტრირება სწორად და მიზნობრივად განსაზღვროდათ წინაპირობები;
- პრაქტიკის კომპონენტში - სილაბუსი შემუშავებულიყო პრაქტიკის ობიექტისა და თემატიკის შესაბამისად - დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რეკომენდირებული იყო, სხვადასხვა ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაღრმავება, რათა სტუდენტებს აქტიურად ესარგებლათ საერთაშორისო მობილობით, ასევე ჩართულიყვნენ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და კვლევებში;

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენელს გადასცა.

კოლეჯის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიზნებთან და შედეგებთან დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებული და გამოსწორებული იყო და უკვე ლოგიკურ კავშირში იყო ერთმანეთთან.

წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების მეოთხე კომპონენტის შესახებ ინფორმაცია დაწესებულების ვებგვერდზე აისახა. ასევე, მიმდინარეობდა მსჯელობა საბჭოს მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

არჩევითიდან სავალდებულოში გადასატან კურსებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრულად გაზიარებული იყო რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამაში დაემატა საქართველოს გეოგრაფია, ტურიზმის გეოგრაფიის სახით, ასევე, პროექტების მენეჯმენტი, რასაც ბიზნესის პროგრამა ისედაც ითვალისწინებდა და თავისუფალი კომპონენტით იყო წარმოდგენილი, შესაბამისად მანამდეც შეეძლო სტუდენტს მისი არჩევა, თუმცა რეკომენდაციის შედეგად, გადმოიტანეს სავალდებულო ბლოკში.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით სოციოლოგიური კვლევის მეთოდები შეთავაზებული იყო არჩევით კურსში, ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ავტორთან შეთანხმებით, კურსს წინაპირობად განესაზღვრა სოციოლოგიის საფუძვლები.

პრაქტიკასთან დაკავშირებით კოლეჯის რექტორმა განმარტა, რომ პრაქტიკის ობიექტებში - სასტუმროსა თუ ტურისტულ კომპანიებში თვითონ მენტორებს ეძლეოდათ რეკომენდაციები, რა კუთხით უნდა ყოფილიყო პრაქტიკა წარმართული, მაგრამ

რეკომენდაციის შემდეგ, ამ პროცესს მისცეს ოფიციალური სახე და დაამტკიცეს შესაბამისი ფორმები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის პრობლემა გასაუმჯობესებელ მხარეებში სტრატეგიულ გეგმაში ისედაც მოაზრებული ჰქონდათ, თუმცა წარჩინებული სტუდენტები, ოფიციალურად ჰყავდათ მივლინებული ტრენინგ კონფერენციებზე მილანში, მიუნხენში და სალონიკში. მან დაამატა, რომ ამ ეტაპზე არ იყვნენ ჩართულები ერასმუსის პროექტში, თუმცა მიმდინარეობდა კომუნიკაცია ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მოწვეულ წევრს, გიორგი თურქიას სთხოვა თავისი შეხედულებების გაზიარება პროგრამასთან დაკავშირებით.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ მართალია გარკვეული შენიშვნები გათვალისწინებული ჰქონდა უნივერსიტეტს, მაგრამ მას უნდა ემსჯელა მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, რასაც გაეცნო. მან განაცხადა, რომ საგნების სათაურების დონეზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი კურიკულუმი იყო მის პრაქტიკაში, თუმცა განსასაზღვრი იქნებოდა, რა მიმართულებაზე კონცენტრირდებოდნენ - ოპერაციების, სასტუმროს მენეჯმენტის, პროდუქტების შექმნისა თუ პოლიტიკის დონეზე. გამომდინარე იქიდან, რომ კვალიფიკაცია იყო ბიზნეს ადმინისტრირება ტურიზმში, უნდა განხილულიყო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების ჭრილში. პროექტების მართვა, როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, უკვე დამატებული იყო და ეს აუცილებელი იყო ბიზნესისთვის - მიუხედავად იმისა, თუ რომელ სფეროში იმუშავებდა კურსდამთავრებული, უნდა შეძლებოდა პროექტის მართვა, რისკების შეფასება. ამასთან, გიორგი თურქიას თქმით, აუცილებელი იყო ფინანსების ნაწილის გაძლიერება, რაც ფაქტობრივად არ იყო პროგრამაში, მხოლოდ ორი კურსით იყო წარმოდგენილი - ფინანსური აღრიცხვა და ბუღალტრული აღრიცხვა, რისი გაერთიანებაც შეიძლებოდა. მან დაამატა, რომ ანგარიშების მართვა დეტალურად არ დასჭირდებოდა სპეციალისტს, პროგრამა აუცილებლად დასამატებელი იქნებოდა ფინანსების მენეჯმენტი და მენეჯერული აღრიცხვა რადგან კურსდამთავრებულს მოუწევდა ხარჯთაღრიცხვა და ფასის დადება.

გიორგი თურქიამ დაამატა, რომ ბრენდინგი უნდა ყოფილიყო სავალდებულო კომპონენტში და არა არჩევითში, რადგან დღესდღეობით ტურიზმი ტრიალებდა ბრენდის გარშემო, ზოგი ქვეყანა კლიმატური პირობების წარმოჩენას ცდილობდა, ზოგი კულინარიის ან ისტორიის, შესაბამისად ეს მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

საბჭოს მოწვეული წევრის თქმით ასევე, აუცილებელი იყო თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება. ზოგიერთ სილაბუსში იყო მოცემული საკითხების დონეზე, მაგრამ ისეთი თემები, როგორც იყო დაჯავშნა და მართვა, აუცილებელი იყო ესწავლებინათ სავალდებულო ბლოკში. მან დაამატა, რომ ტურისტული პროდუქტების გაყიდვის კურსშიც იყო ერთი საკითხი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რადგან თანამედროვე საჭიროებების საფუძველი იყო ინფორმაციული სისტემები.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ კურსი პიარმენეჯმენტი და რეკლამა - სავალდებულოში უნდა გადასულიყო და კარგი იქნებოდა, დარქმეოდა კომუნიკაციების მართვა, რადგან „პიარ მენეჯმენტი“ მოძველებულ სახელს წარმოადგენდა.

გიორგი თურქიამ ყურადღება ასევე გაამახვილა სხვა შინაარსობრივ საკითხებზე: საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების კურსთან დაკავშირებით - აუცილებელი იყო მისი ფართო სპექტრში გაშლა, რადგან აქ საუბარი იყო მხოლოდ სამთო კურორტებზე, ამ დროს ექიმები, სამედიცინო მომსახურება, საავადმყოფოებიც რესურსებს წარმოადგენდა. სამედიცინო ტურიზმი შეიძლება ყოფილიყო კონკურენტურიანი ჩვენი ქვეყნისთვის და მხოლოდ გეოგრაფიის, რეგიონის დონეზე არ უნდა ყოფილიყო ჩაშლილი. კურსში თბილისი საერთოდ არ ფიქსირდებოდა, როდესაც დედაქალაქი წარმოადგენდა ტურიზმის მამოძრავებელს, ასევე მისი მოსაზრებით, ბათუმი უნდა ყოფილიყო ცალკე გამოყოფილი. გარდა ამისა, მთავრობის პოლიტიკა ისეთი იყო, რომ დამის კლუბებიც შეიძლებოდა გამოყენებულიყო რესურსად, ამიტომ სტუდენტის ვიწრო ხედვით შეზღუდვა არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის ყველაზე დიდი ნაკლს წარმოადგენდა პრაქტიკული ქეისების ნაკლებობა, აუცილებელი იყო რამდენიმე ქვეყნის მაგალითის განხილვა, თურქეთის ტურიზმი სერვისზე იყო აწყობილი, საფრანგეთი - ისტორიით პოზიციონირებდა და ზოგადად ყველა ქვეყანას თავისი ნიშა ჰქონდა, ამიტომ აუცილებელი იყო გლობალური ხედვა და ამ მაგალითების დეტალურად შესწავლა.

ეკოტურიზმის კურსთან დაკავშირებით გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ გადასამუშავებელი იყო სილაბუსი, რადგან არ შეიძლებოდა, კურსის მიზანი ყოფილიყო მსოფლიოში გლობალური ეკოლოგიური პრობლემების შესწავლა, დაცვა და ა.შ. ეკოტურიზმი გულისხმობდა კონკრეტულ პრაქტიკულ სამუშაოებს და არა გლობალურ თემებს. მაგალითად, საკითხი საქართველოს გარემოს დაცვითი პოლიტიკა - არ იყო ეკოტურიზმთან კავშირში.

კურსი უსაფრთხოება ტურიზმში გიორგი თურქიამ დადებითად შეაფასა თვითონ საგნის არსებობა, მაგრამ მისი მოსაზრებით, მას აკლდა რისკების მართვა, რაც აუცილებელი იყო. ისეთი საკითხები, რაც გათვალისწინებული იყო კურსით - ჰაერში ტერორიზმი და ა.შ ეს შეიძლება ყოფილიყო სახელმწიფოს საქმე და არა ტურიზმის მენეჯერის, ამ სილაბუსში შესაძლოა ესწავლებინათ მაგალითად, ტრანსპორტის დაზღვევა, სურსათის უვნებლობა და სხვა.

რაც შეეხებოდა რელიგიური ტურიზმი კურსს, გიორგი თურქიას მოსაზრებით, ნაკლებად აქტუალური იყო რელიგიური ტურიზმი საქართველოში, უფრო კულტურულ ტურიზმს მიეკუთვნებოდა ნაგულისხმევი ღირსშესანიშნაობები. სილაბუსში მოცემული თემები - საქართველოს პატრიარქები, ეპარქიები შესაძლოა მიეწოდებინათ სტუდენტებისთვის, როგორც ისტორია, მაგრამ ეს არ წარმოადგენდა რელიგიურ ტურიზმს. გარდა ამისა, ტურიზმი რთული სფეროს წარმოადგენდა, რადგან ყველაფრის გაყიდვა იყო შესაძლებელი და სპეციფიკური ნიშის შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა შესაბამისი სპეციალისტის მოძებნა, ვინც კურსს წაიკითხავდა.

ტურისტული პროდუქტების გაყიდვისა და ტექნოლოგიის კურსთან დაკავშირებით გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ტურისტული პროდუქტი მხოლოდ სასტუმროთი და რესტორნით არ შემოიფარგლებოდა. აეროპორტში დახვედრაც, სიმბარათების, ბროშურების დარიგებაც პროდუქტს წარმოადგენდა, ამიტომ საჭირო იყო პრაქტიკული ქეისების განხილვა. მისი თქმით, ზოგადად, გლობალური ტურიზმის ხედვის ნაკლებობა ბევრი ტურიზმის პროგრამის ბროშურა იყო, ძირითად აქცენტს პოლიტიკაზე და არა ბიზნესზე აკეთებდნენ.

გიორგი თურქიამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფინანსური ნაწილის გაძლიერების აუცილებლობას.

ექსპერტი, გოჩა თუთბერიძე არ დაეთანხმა მოწვეულ ექსპერტს ფინანსური კურსების გაერთიანებასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, აღრიცხვა კარგად იყო პროგრამაში მოცული. უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ გოჩა თუთბერიძის მოსაზრებას. გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მას არ უთქვამს, რომ ცუდად იყო წარმოდგენილი, უბრალოდ უნდა ყოფილიყო ერთი ქუდის ქვეშ გაერთიანებული.

გოჩა თუთბერიძემ დაამატა, რომ პროგრამას\* დასახული ჰქონდა სწავლის შედეგები და შინაარსობრივად ამაზე უნდა გასულიყო პროგრამა. გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სწორედ შინაარსში იყო პრობლემები. ასევე, არ ასწავლიდნენ ფინანსურ მენეჯმენტს, ამ დროს კი ანიჭებდნენ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციას ტურიზმში.

დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხებს გაივლიდა პროგრამის ხელმძღვანელი და დაამატა, რომ ბრენდინგი არჩევით კურსად ჰქონდათ შეთავაზებული სტუდენტებისთვის. სწორედ სტუდენტების მოთხოვნით გაზარდეს თავისუფალი კრედიტების რაოდენობა 48-მდე, რაც მობილობის დროსაც ეხმარებოდათ. მან დაამატა, რომ არჩევითი საგნები მრავალფეროვანი იყო და სტუდენტს აძლევდნენ არჩევანის თავისუფლებას. ასევე, არ ეთანხმებოდა მოწვეულ ექსპერტს კურსების გაერთიანებაში, რადგან ბუღალტერია აუცილებელი იყო ტურიზმის კვალიფიკაციისთვის. თუმცა ფინანსურ ნაწილს გაძლიერებდნენ და გაითვალისწინებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ისწავლებოდა ეკონომიკური ანალიზი, ფინანსური აღრიცხვა და ა.შ. რასაც მოიაზრებდა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა და ამ საგნების წინაპირობას წარმოადგენდა ბუღალტრული აღრიცხვა.

გიორგი თურქიამ გაიმეორა, რომ აუცილებელი იყო მენეჯერული აღრიცხვისა და ფინანსური მენეჯმენტის დამატება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფინანსური მენეჯმენტი წარმოდგენილი იყო არჩევითი კურსის სახით, თუმცა გასაგები იყო მოწვეული ექსპერტის მოსაზრება, რომ საგანი უნდა ყოფილიყო სავალდებულო.

სამთო ტურიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მათ ჩართული ჰყავდათ სპეციალისტი ბრიუსელიდან და მისი რეკომენდაციით იყო დამატებული აღნიშნული კურსი, რადგან ბელგიელი ექსპერტის მოსაზრებით, საქართველოში ძლიერი სამთო ტურიზმის რესურსი არსებობდა.

კურსთან „უსაფრთხოება ტურიზმში“ დაკავშირებულ რეკომენდაციასაც არ დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი, მისი თქმით, რისკების მართვა ისედაც იღო პროგრამაში და გამეორებას მოერიდნენ.

რაც შეეხებოდა საერთაშორისო ქეისების შეთავაზებას, არსებობდა ამის მაგალითები, შესაძლოა ცოტა იყო და გამდიდრებას საჭიროებდა, მაგრამ ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმი იტალიაში, რომის ერთერთ სასტუმროსთან, რომელიც მთლიან 1-თვიან პრაქტიკას უზრუნველყოფდა კვებითა და ცხოვრებით. თუმცა კურსების ფარგლებში საერთაშორისო ქეისების დამატების შეთავაზება შესაძლოა განხილულიყო.

საბჭოს წევრმა, ნატო გენგიურმა აღნიშნა, რომ მართებულად იყო პროგრამაში გათვალისწინებული კურსები როგორც ქართული, ასევე მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, მაგრამ სილაბუსი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საჭიროებდა გადამუშვებას, რადგან შინაარსი არ შეესაბამებოდა სათაურს. კურსი მოიცავდა ქართული კულტურის ისტორიული ეტაპების მიმოხილვას და არა უშუალოდ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. კურსის სათაურიდან გამომდინარე საკითხებს, არც სილაბუსში მითითებული ლიტერატურა მოიცავდა. რეკომენდირებული იქნებოდა, გადამუშავებულიყო აღნიშნული სილაბუსი შინაარსის კურსის სათაურთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. დაწესებულების ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ სილაბუსის ავტორთან გაივლიდნენ ამ საკითხებს.

საბჭოს წევრი, მაკა ლაშხია დაინტერესდა რა რაოდენობის სტუდენტები ირჩევდნენ არჩევითი საგნებიდან ფილოსოფიას და რა პროცენტი ასრულებდა აღნიშნულ კურსს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ადრე არჩევით კურსებში შეთავაზებული იყო ფსიქოლოგია და ფილოსოფია და თანაბრად ირჩევდნენ ორივეს სტუდენტები, თუმცა რამდენი სტუდენტი აბარებდა საგანს ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, თუმცა გაიხსენა შემთხვევები, როდესაც სტუდენტები გადაბარებაზე იყვნენ გასულელები. მან დაამატა, რომ პროგრამის გადამუშავების დროს, არჩევით საგნებში სოციოლოგიის შესავალიც დაამატეს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა განაცხადა, რომ ცვლილებებს, რაც დაწესებულებამ რეკომენდაციების შედეგად განახორციელა, საბჭო ვერ დაეყრნობოდა, რადგან ხელმძღვანელობდა ვიზიტის პერიოდისთვის არსებული დოკუმენტაციით და შესაბამისად გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო ვერ მიიღებდა მხედველობაში. მან დაამატა, რომ სასიამოვნო იყო, როდესაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ჩართული იყო სასწავლო პროცესში, მაგრამ პროგრამა მისი აზრით, პირველ რიგში, პროგრამის ხელმძღვანელს უნდა წარედგინა და დაეცვა. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში კი უკვე მეორედ წარმოადგენდა უნივერსიტეტის პოზიციას და მოპასუხედ ყველა საკითხზე გადიოდა დაწესებულების ხელმძღვანელი, რაც უცნაური იყო. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

კოლეჯის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სააკრედიტაციო მასალები წარმოდგენილი იყო ჩარიცხვამდე, შესაბამისად 2018 წლის მაჩვენებელი არ მოხვდა თვითშეფასების ანგარიშში, თუმცა ამ წელს ყველაზე მეტი მიღება ჰქონდათ - 18 სტუდენტის ოდენობით.

საბჭოს წევრი გიორგი ამილახვარი დაინტერესდა პროგრამის სწავლის საფასურითა და ზოგადად ფინანსური უზრუნველყოფით, რადგან შემოსულობების ნაწილი წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანდა, არსებული სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე თავის ხარჯებს ვერ დაფარავდა, ამიტომ იკითხა რა საშუალებებით ფინანსდებოდა აღნიშნული პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სწავლის საფასური 2250 ლარს შეადგენდა. ყოველწლიურად ხდებოდა ბალანსის დათვლა და ამის მიხედვით დგებოდა მომდევნო წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო თანხა კვლევებზეც, ჰქონდათ რეფერირებადი საერთაშორისო ჟურნალი, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის სტატუსის მქონე დაწესებულებას ეს არ მოეთხოვებოდა. გაწერილი იყო ბიუჯეტში საკონფერენციო ნაშრომების, ბროშურების, კვალიფიკაციის სამაღლების მიზნით ლექტორების საერთაშორისო კონფერენციებზე მივლინებების დაფინანსება. კოლეჯში 500-მდე სტუდენტი სწავლობდა (ბიზნესის ფაკულტეტზე 300) და მთლიანი შემოსავალი და გასავალი აბსოლიტურად პროპორციული იყო. მიმდინარე პერიოდში აფილირებული პერიოდის 3 სახელმძღვანელოს გამოცემას აფინანსებდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა სხვა შემოსავლები თუ ჰქონდა დაწესებულებას სტუდენტების გადასახადის გარდა. კოლეჯის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ სხვა შემოსავლები არ ჰქონდათ, ამჟამად მუშაობდნენ გრანტებზე, დაიმატეს კადრები და მიმდინარეობდა მუშაობა ამ მიმართულებითაც.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა რა დონეზე სთხოვდნენ უცხოელ სტუდენტებს ქართული ენის ფლობას და რა პროცედურებით ამოწმებდნენ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არსებული რეგულაციებით ახლა ვიდეოჩანაწერი იყო მოთხოვნილი უცხო ქვეყნის მოქალაქე ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, ბოლო 2 წლის განმავლობაში მათ არ ჰყავდათ მიღებული უცხოელი სტუდენტი, რომელმაც ქართული არ იცოდა გამართულად, მაგრამ წინა წლებში, როდესაც მოთხოვნა არ იყო ვიდეოჩანაწერზე, მხოლოდ ტესტის საფუძველზე ხდებოდა მათი მიღება (ქართულის ბ2), გასაუბრება არ ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში მათ უჭირდათ სწავლა ქართულენოვან პროგრამებზე, უნივერსიტეტმა მათ მისცა რეკომენდაცია, შეეჩერებინათ სტატუსი, ესწავლათ ქართული და მერე გაეგრძელებინათ. კოლეჯმა მათ უფასო კურსები შესთავაზა და ვინც დაძლია გამოცდა, მათ აღიდგინეს სტატუსი, ზოგს კი რეკომენდაცია მიეცა, გადასულიყვნენ მაგალითად სხვა უნივერსიტეტის რუსულენოვან პროგრამებზე.

საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა პროგრამაში ჩართული პროფესორების რაოდენობით. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯამში 40 პროფესორი ახორციელებდა პროგრამას, საიდანაც 25 იყო აკადემიური პერსონალი, მათგან 17 - აფილირებული.

საბჭომ იმსჯელა და ექსპერტების დასკვნის, მოწვეული ექსპერტის მოსაზრებების და ზეპირ სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ჩათვალა, რომ პროგრამა ვერ აკმაყოფილებდა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტის მოთხოვნებს, კერძოდ საბჭოს მოსაზრებით, არსებული სახით პროგრამა ვერ უზრუნველყოფდა პროგრამით

გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლას. შესაბამისად, საბჭოს წევრების მოსაზრებით, აუცილებელი და არსებითი იყო ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება, რაც დაფიქსირებული იყო როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ასევე დაფიქსირებული იყო საბჭოს ზეპირი მოსმენის დროს. ასევე, საბჭოს მოსაზრებით, გარკვეული სახის პრობლემები იკვეთებოდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის კუთხითაც. გარდა ამისა, აკრედიტაციის დებულების თანახმად, საბჭო ვერ გაითვალისწინებდა რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ დოკუმენტაციას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 6

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	აგრონომია
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
სწავლების ენა	კოდის მითითებით	ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ყველა სტანდარტი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ 2.2 და 4.1 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მანანა კველიშვილმა წარადგინა, მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასწავლო გეგმაში შემცირებულიყო ექსტენციისა და აგროგანათლები კრედიტები (თუნდაც 10 კრედიტით) და სასწავლო კურსი მებოსტნეობა მცენარეთა ფიზიოლოგიის საფუძვლებით გაყოფილიყო ორ ნაწილად: ბოტანიკა და მცენარეთა ფიზიოლოგია;
- სასწავლო კურსი ქიმიის გაყოფილიყო ორ ნაწილად: ზოგადი და არაორგანული ქიმია და ორგანული ქიმია ან ბიოქიმია;
- აუცილებელი იყო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის გაზრდილიყო ძირითად და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა.

ექსპერტმა ასევე საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა სოფლის მეურნეობაში ექსტენციის დანერგვისა და განვითარების პროცესში მონაწილეობა, რაც რეგიონისთვის მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა ახალი დაფინანსების სისტემის შემუშავება, რის მიხედვითაც, ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმით მოხდებოდა უნივერსიტეტების დაფინანსება - რეგიონს უნდა წარედგინა და დაესაბუთებინა მისი ერთი ნიშა. უნივერსიტეტმა ამ გამორჩეულ მხარედ სოფლის მეურნეობა დაასახელა, ამიტომ ეს პროგრამა მისიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მან დაამატა, რომ პროგრამა შემუშავდა ბერნის უნივერსიტეტთან პარტნიორობით და რაც ექსპერტებს საუკეთესო პრაქტიკად ჰქონდათ აღნიშნული, ზუსტად ამ თანამშრომლობის შედეგი იყო. პროგრამის შემუშავებას ახლდა აკადემიური პერსონალის ტრენინგები, თითოეული სილაბუსი შემუშავდა ყველას ჩართულობით, რაც მაგალითი იყო სხვა პროგრამებზე მუშაობის დროსაც. მან დაამატა, რომ რეკომენდაციებს ითვალისწინებდნენ, გაყვეს საგნები და თანმიმდევრობით ჩასვეს პროგრამაში, რჩევებიც ყველა გაზიარებული იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის უნიკალობა პრაქტიკაზე ორიენტირებულობაში მდგომარეობდა, მან განაცხადა, რომ წარმოადგენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსი. ეს საკონსულტაციო სამსახური არსებობდა 5 წელი და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ექსტენციის უნარ-ჩვევა აგრონომისთვის საჭირო იყო. ამიტომ გაეროს პროგრამის ფარგლებში, შეიმუშავეს სილაბუსები, ჩატარდა ტრენინგები. ადრე მოქმედი პროგრამა შეჩერებული იყო და ახლა მოახერხეს ახალგაზრდა კადრების ჩართვა პროგრამაში. რეგიონში საჭირო იყო აღნიშნული სპეციალობა და ორიენტირება მთლიანად ექსტენციაზე მოხდა, რის გამოც რაღაცებს სათანადო ყურადღება ვერ მიაქცევს, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციების შემდგომ, აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობდა. პროგრამა მოიცავდა ჩაშენებულ პრაქტიკას, სილაბუსების ფარგლებში ხდებოდა საველე გასვლები, სასაწყობზე მეურნეობებში ვიზიტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსტენცია საქართველოში ახლა იკიდებდა ფეხს, დიდი მოთხოვნა იყო სოფლის მეურნეობაში, რადგან 300-მდე პოზიცია არსებობდა ამ სპეციალისტებისთვის. შვეიცარიასთან თანამშრომლობით გაეროს პროგრამამ გააკეთა რომ ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო მაინორ პროგრამაც. კურსდამთავრებულები არამხოლოდ აგრონომებად, არამედ კოლეჯში პედაგოგებად და ექსტენციონისტებად შეძლებდნენ მუშაობას. მისი თქმით, ახალგაზრდების მოზიდვა იყო მნიშვნელოვანი გამოწვევა, რადგან დარგი ბერდებოდა.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ დასანანი იყო მიღების ასეთი დაბალი მაჩვენებელი და დაინტერესდა რას გეგმავდნენ რეკლამის თვალსაზრისით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად, სტუდენტის მოტივაცია უკავშირდებოდა იმას, ფინანსდებოდა თუ არა პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან,

შესაბამისად, როგორც ამოქმედდა დაფინანსებული პროგრამები, კონკურენცია გაუწია ბევრ სპეციალობას, მათ შორის, აგრონომიასაც. პროგრამაზე რამდენიმე წლის განმავლობაში მიღება არც ჰქონიათ. ამასთან, პროგრამის განახლება უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან შექმნა იქნებოდა. რეკლამას უკეთებდნენ, რომ პროგრამა ახალი იყო და ის 10 სტუდენტი, ვინც მაინც ჩაირიცხა, მათ გარისკეს და მაინც ჩააბარეს. სამინისტროში დაწყებული იყო სტაჟირების პროგრამა, რაც ჩაითვლებოდა სამუშაო გამოცდილებად, ეწყობოდა შეხვედრები, სტუდენტები მეორე კურსიდან უკვე გაივლიდნენ სტაჟირებას. არსებობს ექსტენციის სტრატეგიის გეგმა სამინისტროში, რომელიც 2025 წლამდე იყო გაწერილი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ დადებითად შეაფასა რეგიონის მხრიდან ნიშის შერჩევა და არჩევანის შეჩერება აგრონომიის მიმართულებაზე, თუმცა მთლიანად პროგრამისადმი ჰქონდა კითხვა, რითაც ჯერ ექსპერტებს მიმართა - მთლიანი პროგრამის სტრუქტურა აგებული იყო ისე, რომ ლაბორატორიული დატვირთვა მოდიოდა მხოლოდ 1 საგანში და მხოლოდ 4 ლაბორატორიულის ფარგლებში, ეს იყო კურსი ნიადაგმცოდნეობაში, პირველი ლაბორატორიული - ნიადაგის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შესწავლა ბუნებრივ პირობებში, რაც გიორგი ქვარცხავას მოსაზრებით, სადავო იყო, მეორე - ნიადაგის მექანიკური შედგენილობის განსაზღვრა, მესამე - ნიადაგის რეაქციის (PH) განსაზღვრა, მეოთხე - მინერალური ნაწილის განსაზღვრის მეთოდები, მეტი ლაბორატორიული არ იყო, არც ქიმიკაში, არც ბიოლოგიასა და სხვა საგნებში. მან ექსპერტებს მიმართა კითხვით, რას ფიქრობდნენ ასეთი სტრუქტურის მქონე პროგრამაზე.

ექსპერტმა მანანა კველიშვილმა განაცხადა, რომ ლაბორატორიული მუშაობა აუცილებელი იყო, მაგრამ უნივერსიტეტის ბაზა ახლა ვითარდებოდა, დაფინანსებასაც ელოდებოდნენ. პრაქტიკული სამუშაოები იყო გათვალისწინებული და მითითებულია ჰქონდათ ის ლაბორატორიული სამუშაოები, რის განხორციელებასაც თავიანთი ძალებით შეძლებდნენ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ნიადაგმცოდნეობა პირველ სემესტრში ისწავლებოდა, ისევე, როგორც აგრონომიის საფუძვლები, ხოლო ქიმიკა - მეორეში. გამოდიოდა, რომ ჯერ განსაზღვრის მეთოდებს სწავლობდა სტუდენტი, 2 საათში, ისიც თეორიულად და შემდეგ სწავლობდა ქიმიკას, სადაც სილაბუსის მიხედვით, ასწავლიდნენ მაგალითად, რა იყო PH მინერალი და ა.შ. ასევე, აგრონომიის საფუძვლებთან დაკავშირებით, პირველივე თემა იყო ნიადაგის შემადგენილობა - მექანიკური და ორგანული (მინერალური, ქიმიური და ორგანული ნაწილი), ქიმიკა ამ დროს სტუდენტს არ ექნებოდა გავლილი, მით უმეტეს ორგანული ნაწილი. მან კითხვით მიმართა ექსპერტს, გიორგი ჯაფოშვილს, როგორ შეიძლებოდა აგრონომიის სპეციალისტი გამოსულიყო მხოლოდ იმ ლაბორატორიული მუშაობით, რასაც პროგრამა მოიცავდა. მანანა კველიშვილმა უპასუხა, რომ მემორანდუმები ჰქონდა უნივერსიტეტს გაფორმებული, რაც შეეძლოთ გამოეყენებინათ ბაზეზად, ეჩვენებინათ როგორ ხდებოდა მეთოდის განხორციელება, ანალიზი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პრობლემა არ იქმნებოდა, 50 000 ლარის ფარგლებში არსებობდა ინვენტარი, ასევე უნივერსიტეტი 200 000 ლარის ლაბორატორიების შესყიდვას გეგმავდა, რაც სასწავლო პროცესისთვის არსებულ საჭიროებებს უზრუნველყოფდა.

ექსპერტმა, გიორგი ჯაფოშვილმა გიორგი ქვარცხავას მიერ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა გაითვალისწინეს ის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ნაკვეთები, რაც უნივერსიტეტს ჰქონდა. ასევე ის მხარდაჭერაც, რაც ჰქონდათ პროექტებიდან თუ მუნიციპალიტეტიდან. ექსპერტების მოსაზრებით, ამ მოცემულობაში სტუდენტი მიიღებდა საკმარის ცოდნას.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ სამომავლო პერსპექტივები კარგი იყო, მაგრამ უნდა ეხელმძღვანელათ არსებული მდგომარეობითა და დოკუმენტაციით. მან აღნიშნა, რომ ლაბორატორიული მუშაობა იყო აუცილებელი კომპონენტი შედეგზე გასასვლელად. ხელის გადასატანი პორტატული აპარატის მაჩვენებლებზე დაყრნობით არ შეიძლებოდა არცერთი კვლევითი ღონისძიების ჩატარება, ეს მხოლოდ საშიშროების დადგენას ემსახურებოდა და დანარჩენი კვლევისთვის სტუდენტი უნდა წასულიყო ლაბორატორიაში.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ საბჭოს წევრის მოსაზრებას და განმარტეს, რომ ზოგად აგრონომიაში ხდებოდა მიმოხილვა, რა შეიძლებოდა შესულიყო პროგრამაში მთელი 4 წლის განმავლობაში და რას ისწავლიდნენ სტუდენტები, იწყებოდა ნიადაგმცოდნეობა-მიწათმოქმედებით, ზოგადი მიმოხილვით, შესაძლებელი იყო ფორმულირების შეცვლა, რომ ჯერ ზოგადად ისწავლებოდა და მოგვიანებით დეტალურად იქნებოდა საგნებში ჩაშლილი.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ განაცხადა, რომ არ შეიძლებოდა PH მეტრის სწავლება ნიადაგმცოდნეობაში, თუ ქიმიკაში არ ჰქონდათ მანამდე ათვისებული. ჯერ ქიმიკაში უნდა გაცნობოდა სტუდენტი რას წარმოადგენდა ეს ხელსაწყო და შემდეგ ნიადაგმცოდნეობაში გაეგო, რისთვის იყო საჭირო და როგორ უნდა გამოეყენებინა. მან დაამატა, რომ ქიმიის სულაბუსთან დაკავშირებითაც ჰქონდა მოსაზრებები და ეს ექსპერტებსაც ჰქონდათ აღნიშნული დასკვნაში. მისი მოსაზრებით, არ იყო მიზანშეწონილი აგრონომიაში ესწავლებინათ ქიმიკა მხოლოდ ერთი კურსის ფარგლებში და სახელწოდებაც ზოგადი ჰქონოდა, რადგან ქიმიკა ბევრი ნაწილისგან შედგებოდა. სილაბუსი მოიცავდა ზოგად არაორგანულ ქიმიას და ორგანულის ნაწილს და ისე იყო დალაგებული, ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ თითქოს ორგანულისთვის არ დარჩა საკმარისი დრო. ამასთან, ჯერ ქიმიკა უნდა გაეგო სტუდენტს, როგორც ზოგადი საფუძველი და შემდეგ ნიადაგმცოდნეობა.

გიორგი ქვარცხავამ ასევე აღნიშნა, რომ აგროფიზიკის სილაბუსი მხოლოდ ფიზიკის ნაწილებს მოიცავდა და არ იყო მასში აგრონომიის ნაწილი, რაც სათაურის მიხედვით უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო სილაბუსში მეტი ამ მიმართულების საკითხების ჩადება, რადგან მაგალითად ელექტრომაგნიტური გამოსხივება აგრონომს არ სჭირდებოდა.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ დაამატა, რომ პროგრამაში არსებულ 6 სწავლის შედეგს კარგი იქნებოდა სამომავლოდ დამატებოდა დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებისა და წარმოების ნაწილი, თუმცა ამ ეტაპზე პროგრამა ამის საშუალებას არ იძლეოდა. მართალია ექსტენცია კარგად იყო წარმოდგენილი, მაგრამ დანარჩენი ნაწილი სუსტი იყო.

საბჭომ იმსჯელა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე, ასევე საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებზე. ყველა გარემოების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით უნდა შეფასებულიყო როგორც ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>2</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

საბჭოს განცხადებით, უნივერსიტეტს უნდა გაეთვალისწინებინა, როგორც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული, ისე საბჭოს ზეპირ მოსმენაზე საბჭოს მიერ მიცემული რეკომენდაციები.

18:00 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ანა ფირცხალაშვილმა.

4. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	აგრონომია
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	აგრონომიის ბაკალავრი 0101
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ხუთივე სტანდარტი და თითოეული კომპონენტი შეესაბამებოდა დადგენილი სტანდარტების მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მანანა კველიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ფლობდა ყველა რესურსს, თანამედროვე ლაბორატორიებს, სტუდენტები დამოუკიდებლად მუშაობდნენ და ჯგუფმა გამოარჩია საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშები, მაგრამ რეკომენდაციები ექსპერტებს არ ჰქონიათ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ დასაქმების მაჩვენებელი იყო ძალიან მაღალი.

უნივერსიტეტის რექტორმა, ვახტანგ ლეჟავამ მაღლობა გადაუხადა ექსპერტებს კოლეგიალური მუშაობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე ქეთი ქოქრაშვილი დაინტერესდა, უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებით ჰქონდა თუ არა პროგრამას სუსტი მხარე. ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ იმ სტანდარტებთან მიმართებაში, რითაც უნდა შემოწმებულიყო პროგრამა, ხარვეზები არ ჰქონდათ. მეორე მხრივ, ეს იყო იმის შედეგი, რომ მუდმივად ხდებოდა

პროგრამის მონიტორინგი. ასევე, უნივერსიტეტს ჰქონდა თავისი შიდა სტანდარტები და მოთხოვნები ყოველ მიღებასთან ერთად ამ თამასას ზემოთ სწევდნენ. უნივერსიტეტის რექტორის თქმით, მათ ამოცანას წარმოადგენდა არსებული რესურსებით რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მისცემოდა პროფესიის დაუფლების საშალება. მიმდინარე წელს გაზარდეს მიღება და გამოწვევა იქნებოდა, სტანდარტისა და ხარისხის შენარჩუნება გაზარდილი სტუდენტების რაოდენობის პირობებში დასაქმების თვალსაზრისითაც. მან დაამატა, რომ გაუმჯობესება ყოველთვის შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ არსებულ ფორმატში პროგრამას სუსტი მხარეები არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ აგროქიმიის სილაბუსში გამოყენებული ტერმინი „მაძღრობა“ ცუდად ჟღერდა და კარგი იქნებოდა მისი შეცვლა. ექსპერტმა მანანა კველიშვილმა განაცხადა, რომ ეს ტერმინი ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებშიც იყო გამოყენებული და მიღებული და გაზიარებული იყო. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ზოგადად დიდი ძალისხმევა იყო გაწეული ქიმიაში ტერმინების მოწესრიგებისთვის, მაქსიმალურად გაურბოდნენ პოსტსაბჭოთა სივრციდან დანატოვარ სიტყვებს, შეიძლება ბევრი ტერმინი ჭრიდა ყურს, მაგრამ საჭირო იყო მათი მიღება და დამკვიდრება.

საბჭოს წევრს გიორგი ქვარცხავას ჰქონდა მოსაზრებები ქიმიის სილაბუსებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა როგორ ტარდებოდა ლაბორატორიული სამუშაო, რადგან მისი შთაბეჭდილებით, ზოგადი ქიმიის ლაბორატორიული სამუშაოს საათები იყო უფრო გაზარდილი, ორგანულს კი არ ჰქონდა საკმარისი დრო დათმობილი. მაგალითად, როდესაც პირველ საგანში ეთმობოდა 12 საათი ერთ საკითხს, სინჯარული რეაქციების თემას ორგანულ ქიმიაში მხოლოდ 4 საათი ჰქონდა დათმობილი, დამატებით, ეს მოიცავდა მინი ქვიზსაც.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ეს კონკრეტული საკითხები წარმოადგენდა სწრაფ ტესტებს, სინჯარულ მეთოდს და მეტ დროს არ საჭიროებდა. მისი თქმით ეს არ იყო კლასიკური ზოგადი ქიმია და კურსის დანიშნულებას წარმოადგენდა, რომ სტუდენტებს, ნახევრად თამაშით რაც შეიძლება ბევრი ენახათ, ეგრძნოთ თავი ლაბორატორიაში. ტიპიურ ქიმიურ პროგრამაზე, მაგალითად ასეთი მეთოდები არ იყო, იქ ორგანულ სინთეზს სრულად გადიოდნენ.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ სათაურებიდან გამომდინარე რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ იმ ამოცანებს, რასაც მოიცავდა ორგანული ქიმიის სილაბუსი, თითქოს არ ყოფნიდა დათმობილი დრო. ელიზბარ ელიზბარაშვილმა უპასუხა, რომ ამ მოცულობის დრო არცერთ სხვა უნივერსიტეტს არ ჰქონდა განსაზღვრული აღნიშნული სამუშაოსთვის და საკმარისი იყო პრაქტიკიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	მევენახეობა-მელვინეობა
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, 01
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მევენახეობა-მელვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ხუთივე სტანდარტი და თითოეული კომპონენტი შეესაბამებოდა დადგენილი სტანდარტების მოთხოვნებს.

ექსპერტმა მანანა კველიშვილმა განაცხადა, რომ ლაბორატორიები კარგად იყო აღჭურვილი და 20 სტუდენტს შეეძლო დამოუკიდებლად მუშაობა. ასევე, უნივერსიტეტს ჰქონდა მინილვინის საწარმო, ქარხანა, რაც თავისთავად კორპუსში იყო მოწყობილი, მარანი, სპირტის სახდელი, საკუთარი ვენახი და თავისი ხელით აკეთებდნენ სტუდენტები ყველაფერს. მანანა კველიშვილმა დაამატა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ რჩევა რამდენიმე საგნის მსგავსებასთან დაკავშირებით, თუმცა გასაუბრების დროს დაზუსტდა, რომ პრაქტიკაში ლექტორები სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რას წარმოადგენდა ყველაზე დიდ დადებით მხარეს პროგრამაში.

უნივერსიტეტის რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ თამამი ექსპერიმენტი იყო თავის დროზე, როცა მევენახეობა მელვინეობა ერთ პროგრამაში გაერთიანდა, სრულ ციკლს -

ვენახის ჩაყრიდან დაწყებული ღვინის ფესტივალებამდე დამთავრებული, სტუდენტები თვითონ ამუშავებდნენ, ეტიკეტზეც და სახელზეც კი თვითონ ფიქრობდნენ. ეს იყო ინოვაციური მიდგომა და დადებითი მხარე, წარმოადგენდა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. მეორე პლიუსად მან ახალგაზრდების დაინტერესება დაასახელა, რადგან უნივერსიტეტმა მოახერხა მათი მოზიდვა და კონკურსი საკმაოდ მაღალი იყო.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ დასაქმების მაჩვენებლით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 100% იყო დასაქმების მაჩვენებელი, ზოგჯერ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ სტუდენტები უფრო ადრე საქმდებოდნენ, ვიდრე სწავლას ასრულებდნენ, რაზეც უნივერსიტეტი მიუთითებდა, რომ არასწორი იყო. სტუდენტები ეცნობოდნენ გლობალურ ტენდენციებს სფეროში, უცხოეთში მიდიოდნენ, გაცვლითი პროგრამები მოქმედებდა პროგრამაზე და და თანამედროვე ღვინის სამყაროს არ იყვნენ მოწყვეტილები.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ კურსდამთავრებულები სწავლას მაგისტრატურაზე საზღვარგარეთ აგრძელებდნენ, მაღალი დონის პროგრამებზე სწავლობდნენ და კარგ სტუდენტებად ითვლებოდნენ, რაც მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თავად აყენებდნენ ღვინოს და დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებებს. მისი განმარტებით, პროგრამა იმგვარად იყო აწყობილი, რომ ორჯერ უწევდა სტუდენტს პრაქტიკაზე წასვლა. მეორე კურსის შემდეგ მიდიოდნენ რთველზე, რომ რეალობაში ენახათ პროფესია და დარწმუნებულიყვნენ თავიანთ არჩევანში, რომ ნამდვილად სურდათ აქ მოღვაწეობა, ამის შემდეგ სწავლობდნენ მევენახეობას, მეღვინეობას, დეგუსტაციას და მეოთხე კურსზე დამოუკიდებლად აყენებდნენ ღვინოს. მან დაამატა, რომ პროგრამა სპეციფიკური იყო და როდესაც მეღვინე ღვინოს დააყენებდა, 5-10 წლის მერე, მხოლოდ მისი დაგემოვნების შემდეგ შეიძლებოდა მიმხვდარიყო, რა შეცდომა დაუშვა.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამაში გათვალისწინებული იყო საერთაშორისო მეღვინეობის ყველა რეგიონი, მაგალითად, საფრანგეთში ყველა ღვინოსა და ჯიშებს გადიოდნენ. გარდა თეორიული სწავლებისა, სტუდენტები სინჯავდნენ ამ ღვინოებს, უნივერსიტეტს ჰქონდა თანხა გამოყოფილი, ყიდულობდა ყველა ქვეყნის ღვინოს. ასევე, ტარდებოდა გამოფენები, სულ 3. სტუდენტებს არამხოლოდ დამზადება, არამედ გაყიდვა-პრეზენტაციაც უნდა შეძლებოდა საკუთარი ღვინის. გამოფენები იმართებოდა ფაკულტეტზე, ექსპოზიორჯიაში და ბოლოს უნივერსიტეტის მარანში, სადაც მოწვეული იყვნენ მეღვინეები, რათა გაეცნოთ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები.

უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ ეს პროგრამა, გენდერულ სტერეოტიპს არღვევდა, რადგან პროგრამაზე უფრო მეტი გოგო სწავლობდა, ვიდრე ბიჭი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ორ სილაბუსში (ყურძნის და ღვინის ხარისხის ტექნოლოგია და ენოქიმია) მეორდებოდა რამდენიმე ლაბორატორიული (მაგ. ტკბილი შაქრიანობის განსაზღვრა, რკინის, გოგირდოვანი მჟავის განსაზღვრა და ა.შ.) შესაძლოა მეთოდი განსხვავებული ყოფილიყო, მაგრამ სათაურების მიხედვით, თემები ერთიდაიგივე იყო.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ ბევრი სხვადასხვანაირი მეთოდი არსებობდა, მათ შორის, ღვინოსთან მიმართებაშიც და სხვადასხვა მეთოდი გამოიყენებოდა თითოეულ სილაბუსში.

საბჭოს წევრმა გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ ჩანაწერის მიხედვით რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ერთიდაიგივე მეთოდი იყო გამოყენებული, ამიტომ ჩასაწერი იქნებოდა სილაბუსში შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენელმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროტოკოლში დაწვრილებით იყო გაწერილი მეთოდოლოგია, რაზეც გიორგი ქვარცხავამ უპასუხა, რომ ეს დოკუმენტი საბჭოსთვის არ იყო ხელმისაწვდომი.

ექსპერტმა, მანანა კველიშვილმა განაცხადა, რომ მან თავშიც აღნიშნა საგნებს შორის მსგავსების შესახებ, მაგრამ გასაუბრებებმა ცხადყვეს, რომ მეთოდები ნამდვილად განსხვავდებოდა, სათითაოდ იყო გაწერილი და ადასტურებდნენ, რომ საუბარი არ იყო ერთსადაიმავე საკითხის განმეორებაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა დაამატა, რომ პროტოკოლები ლაბორატორიულის წინ ეგზავნებოდათ სტუდენტებს და მოწმდებოდა, რამდენად იცოდნენ შინაარსი, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი ითვლიდა რეაქტივების ფასსაც და ზოგადად პროგრამა ხარჯიანი იყო, განსაკუთრებით ლაბორატორიის ნაწილი და ტყუილად ერთიდაიგივე ლაბორატორიულს არ ჩაატარებდნენ. ჯგუფში მაქსიმუმ 20 ადამიანი იყო, რადგან ასე დასაბუთდა ამის საჭიროება პერსონალის მხრიდან.

დაწესებულების წარმომადგენელმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაამატა, რომ მასწავლებელი უგზავნიდა სტუდენტს პროტოკოლს, რეაქტივები ინახებოდა სპეციალურ ოთახში, ლაბორანტი საქმის კურსში იყო, რა ლაბორატორიული იყო დაგეგმილი, სტუდენტს ხვდებოდა ხალათი, სათვალე, ხელთათმანი, მას წინასწარ უნდა ჰქონოდა გარჩეული პროტოკოლი, აკეთებდა ამოცანას, მასწავლებელი კი იყო ზედამხედველი. სტუდენტს შეიძლებოდა დაეშვა ბევრი შეცდომა დამოუკიდებლად გაკეთების დროს, რის გამოც უფრო უკეთ სწავლობდა და კარგი სპეციალისტი გამოდიოდა. დამსაქმებელიც ითხოვდა არა თეორიას, არამედ პრაქტიკულ უნარებს, შესაბამისად სტუდენტს ამას ასწავლიდნენ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა დეტალურად განიხილეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა და მიიჩნიეს, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>ა</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>ბ</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობა-მეღვინეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სატყეო საქმე
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია	სატყეო საქმის ბაკალავრი, 0105
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ხუთივე სტანდარტი შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ 1.2 და 2.3 კომპონენტები შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტებთან.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ნინო ლომიძემ წარადგინა, მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველი იყო წარმოდგენილიყო სწავლის შედეგების შეფასების რუკა.
- სასწავლო კურსის „სატყეო ფიტოპათოლოგია“ მიზანი მოითხოვდა დაზუსტებას, სასურველი იყო მკაფიოდ განსაზღვრულიყო სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები;
- სასწავლო კურსში „სატყეო ფიტოპათოლოგია“ დასაზუსტებელი იყო ლიტერატურა;
- სასწავლო კურსში „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)“ დასაზუსტებელი იყო ლიტერატურა;
- პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილი სასწავლო კურსების (მაგალითად: „სატყეო ფიტოპათოლოგია“, „კერძო ენტომოლოგია (სატყეო)“ და სხვა) სწავლება განხორციელებულიყო უახლესი სასწავლო სახელმძღვანელოებით/ ლიტერატურით;
- სასწავლო კურსის „ზოგადი ენტომოლოგია“ მიზანი მოითხოვდა დაზუსტებას, სასურველი იყო მკაფიოდ განსაზღვრულიყო სასწავლო კურსის მიზნები.

ექსპერტმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ბუნდოვანი იყო, მოიცავდა 9 ზოგად და 13 დარგობრივ კომპეტენციას და ჯგუფმა მიიჩნია, რომ ეს არ იყო პროგრამის სწავლის შედეგები; ექსპერტმა აღნიშნა, რომ ისინი დეკლან კენედის 2016 წლის წიგნით, „სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და დანერგვა“ ხელმძღვანელობდნენ. მან ასევე დააზუსტა ბოლო რეკომენდაციის შინაარსიც, ენტომოლოგია მოიცავდა მწერებს, ხოლო მიზნებსა და საკითხებში იყო ინფორმაცია მღრღნელებზე, ტკიპებზე, რაც არ წარმოადგენდნენ მწერებს. ამიტომ მისი მოსაზრებით, საჭირო იყო ან სახელი შეცვლილიყო სილაბუსის, ან შინაარსი მოდიფიცირებულიყო. ექსპერტმა დაამატა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში, უნივერსიტეტი ეთანხმებოდა და იზიარებდა მეორე და მესამე რეკომენდაციებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მარინა ქარჩავამ აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების თვალსაზრისით, ისინი ითვალისწინებდნენ არსებულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, სადაც მითითებული იყო, რომ აუცილებლად გასაწერი იყო კომპეტენციების რუკა და ეს ყველა საერთაშორისო პრაქტიკითაც მოითხოვებოდა. კომპეტენციების რუკა იგივე სწავლის შედეგს წარმოადგენდა შინაარსობრივად და სახელის ცვლილება შესაძლებელი იყო, მაგრამ ეს შინაარსს არ ცვლიდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატო კობახიძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციები ორი საგნის მიზნებისა და ლიტერატურის დაზუსტებასთან დაკავშირებით გაზიარებული იყო და დაწყებული იყო მუშაობა. ზოგად ენტომოლოგიასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ საგანი კი შეისწავლიდა მწერებს, მაგრამ ზოგადი - მოიცავდა ტყის მავნებლებსაც. სილაბუსში ყველა თემატიკა, რაც მწერის მორფოლოგიას, ბიოლოგიას შეეხებოდა, სრულად იყო წარმოდგენილი, ისევე როგორც კურსის მიზანში. მღრღნელები მართალია არ შედიოდნენ უშუალოდ სახელწოდების შესაბამისად, მაგრამ საგნის პედაგოგს სურდა ამის შესახებაც ინფორმაცია მიეწოდებინა ინფორმაცია სტუდენტებისთვის, რადგან მღრღნელები დიდ როლს თამაშობდნენ ამ პროცესში. შინაარსობრივად კურსი ამომწურავი იყო და მოიცავდა ყველა მნიშვნელოვან საკითხს.

ლიტერატურასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში შეძენილი იყო ხელსაწყო დანადგარები, თანამედროვე ლაზერული მზომი ტყის ინვენტარიზაციისთვის და მთელი პაკეტი ძირითადი დარგობრივი საგნებისა, რაც სჭირდებოდა სპეციალისტს. „Springer“-ის გამომცემლობისგან გადმოეცათ 40 000 ევროს ღირებულების ინგლისურენოვანი ლიტერატურა, რაც ითარგმნებოდა და პერიოდულად მიეწოდებოდათ სტუდენტებს. მომველებული წიგნები კი იყო ფუნდამენტური სახელმძღვანელოები, რაც არ იცვლებოდა - მცენარის ფოთოლი, ფიჭვის ფოთოლი, დიამეტრი - რაც ამომწურავად იყო წარმოდგენილი სილაბუსებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ კურსდამთავრებულები 100% ით საქმდებოდნენ, მაგრამ დაინტერესება დაბალი იყო. ახალგაზრდებისთვის სპეციალობა არ იყო მიმზიდველი. ამისთვის, უნივერსიტეტმა დიდი სამუშაო გასწია, 2013 წლის მერე 7 ახალი კურსი დაემატა პროგრამას, რებრენდინგი გაკეთდა და დაიხმარეს საერთაშორისო გამოცდილება და კონტაქტები, რაც ჩეხებთან, გერმანელებთან ჰქონდათ. პროფესურა და

სტუდენტებიც პრაქტიკის გასაზიარებლად. იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებდა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აქტივობებს და რთავდნენ სტუდენტებს აქტიურად. ბოლო მონაცემებით 2 მაგისტრანტი მიიღებდა მონაწილეობას ამერიკულ პროექტებში.

უნივერსიტეტის რექტორმა ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ სწავლის შედეგების რუკა მეთოდოლოგიურ საკითხს წარმოადგენდა და შესაძლოა სხვადასხვა მოსაზრებები ყოფილიყო იმასთან დაკავშირებით, როგორ წარმოდგენილიყო უკეთ. სტუდენტები შედეგზე გადიოდნენ. უნივერსიტეტი საუკეთესო ძალისხმევას იჩენდა ლიტერატურასთან დაკავშირებული კრიზისის დასაძლევად, რათა ხელმისაწვდომი გამხდარიყო ქართულენოვანი სახელმძღვანელოები არამარტო მათი სტუდენტებისთვის, არამედ სხვებისთვისაც. ამას გარდა, ინგლისურის დონე სტუდენტებს აძლევდა საშუალებას, ორიგინალშიც გაცნობოდნენ ლიტერატურას. თანამედროვე მიდგომებთან დაკავშირებით, ფუნდამენტური ცვლილება შეიტანეს, რათა პროგრამა არ ყოფილიყო მარტო ენდემურ ტყეებზე, დაცვაზე კონცენტრირებული. პროგრამაში გაჩნდა ლანდშაფტის მეტყვეობა, ურბანული მეტყვეობა, მერქნის გადამამუშავება და ეს უნარებიც სტუდენტებს უფრო კონკურენტუნარიანს გახდიდან ბაზარზე. პროგრამის ბრენდინგი კიდევ მოითხოვდა ძალისხმევას, შინაარსთან დაკავშირებით არ იყო ბევრი სამუშაო, მაგრამ სირთულეს წარმოადგენდა 18 წლის ადამიანისთვის ამ სპეციალობის მოწონებაზე მუშაობა. მან დაამატა, რომ უნივერსიტეტში კვლევები მიმდინარეობდა და ბაკალავრიატის სტუდენტებიც იყვნენ ჩართულები და ეხმარებოდნენ პროფესურას. სტუდენტები სილაბუსების მიღმაც ბევრ ცოდნას იღებდნენ.

პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განაცხადა, რომ იწყებოდა ეროვნული ინვენტარიზაციის პროცესი, გერმანული პროექტის ფარგლებში, რომელშიც სტუდენტები მიიღებდნენ მონაწილეობას. ჯერ შერჩევის ნაწილი მიმდინარეობდა და 3 სტუდენტი იმყოფებოდა ტრენინგზე. პროექტი ხორციელდებოდა უცხოელ (ბრნო) კოლეგებთან ერთად, საიდანაც დიდი დახმარება მიიღეს და ისინიც აღნიშნავდნენ, რომ ისეთი აღჭურვილობა, რაც აგრარულ უნივერსიტეტს ჰქონდა, ბევრ ევროპულ უნივერსიტეტს არ გააჩნდა. 6 ექსპერტი იყო ჩამოსული, ვინც შესაბამისი ტრენინგები ჩაატარა, უნივერსიტეტს ჰქონდა საკუთარი ტყე და დენდროლოგიური პარკი 180-200 სახეობის მცენარით, სადაც ტარდებოდა პრაქტიკული მეცადინეობები, ეს ემსახურებოდა დასაქმების სფეროს გაზრდას.

ექსპერტმა, მერაბ მაჭავარიანმა დაამატა, რომ ის წარმოადგენდა სატყეო სააგენტოს და პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა 20-მდე კურსდამთავრებულის ჩართვა. გარდა ეროვნული ინვენტარიზაციისა, დაგეგმილი იყო ტყის აღრიცხვის ჩატარება დედოფლისწყაროში, ლაგოდეხში, თეთრიწყაროში და ეს პროცესი მუდმივად საჭიროებდა ახალგაზრდების ჩართულობას, რადგან ბევრი რაიონი საჭიროებდა მეტყვეებს. ამიტომ სატყეო სააგენტოც ყველანაირად ხელს ყველანაირად შეუწყობდა მათ ცოდნის მიღებასა და დასაქმების მიმართულებითაც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნასა და საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ

პროგრამა მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიზანშეწონილი იყო შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3<sup>1</sup> პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა დაწესებულებას, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების თაობაზე, დაწესებულებას 6 თვის ვადაში წარმოედგინა ანგარიში რეკომენდაციების გათვალისწინების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი

ნინო ლიპარტია